სახალხო გაზეთი

№ 909 კვირა, 2 თიბათვე 1913 წ. № 909

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 5 თიბათვეს.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 9 ივნისს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება **წლის წირვა და პანაშვიდი** წ. კ. საზოგადოების საპატიო წევრის, განსვენებულის

იაკობ სვიმონის ძის
გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე. 1340

ორშაბათს, სამ ივნისს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი

ლავრენტი დავითის ძის აგლაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **ეფროსინე ლევანის ასული** და შვილები: **შალვა და ირაკლი აგლაძენი.** წირვა დაიწყება დილის 9 ს., პანაშვიდი 12 საათზე. 327

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი

კვირას, 2 ივნისს, გაიმართება

სალიტერატურო და სამუსიკო დილა

ვაჟა-ფშაველას მონაწილეობით

განყოფილება I.

1. **ლექცია „ქართული ლიტერატურა მე-19-ე საუკუნეში“** წაიკითხავს ქართულ დრამატიულ საზოგადოების კურსების ლექტორი ბ-ნი **მიხეილ წულუკიძე.**

განყოფილება II.

1. გუნდი **„ბუთნის დედა“** ლექსი **ილ. ჭავჭავაძისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა,** 2. ლექსი—ბ-ნი **გრიშაშვილი.** 3. ლექსი—ბ-ნი **აბაშელი.** 4. ლექსი ბ-ნი **ი. ევდოშვილი.** 5. ლექსი—თ-დ **კ. მაყაშვილი.** 6 **„მაშ გამარჯვება“,** ბაირონიდან, მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.**

განყოფილება III.

1. გუნდი საყმაწვილო ოპერიდან **„ორი ქალა“** („ეს ქვეყანა ყველაფრით მდიდარია“). მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა 2.** ახალი ესკიზი **ბ-ნ შიო არაგვისპირელისა** წაიკითხავს ქ-ნი **ბ. პ. სულხანიშვილი.** 3. გუნდი: **„ორატორია“** ლექსი **აკაკისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.** 4. ლექსი **ვაჟა-ფშაველა.** 5. გუნდი **„სამშობლო ხევსურისა“,**—ლექსი **რ. ერისთავისა,** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.**

დასაწყისი 1-ლ საათზე ბილეთები იყიდება „სახალხო სახლის კასაში. 1233

ახალი კლუბი

(საზამთრო თეატრი)

შაბათს, 8 ივნისს 1913 წ., გაიმართება

კონცერტი
დ. ი. არაყიშვილის

ნაწარმოებთაგან.

ქ-ნ მ. კოლოტოვისა, და ბ-ნნ ი. სარაჯიშვილისა, ა. შანშიაშვილისა და ი. პოლომარენკოს მონაწილეობით.

პროგრამა: შესავალი სიტყვა, ვოკალური და სიმფონიური მუსიკა. კლუბის სიმებიან ორკესტრს დირიჟორობას გაუწევს თვით ბ-ნი **დ. არაყიშვილი.** ბილეთების შეძენა და ჩაწერა წინდაწინვე შეიძლება თეატრის კასაში. დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი სალამოს 8½ საათზე. 1234

ახალი კლუბი

მუდმივ ყოველ კვირეულ გასართობთა წეს რიგი:
სამშაბათობით და შაბათობით

დაუკრავს „ახალ კლუბის“ მიერ მოწყობილი
არტისტებისაგან შემდგარი

სიმფონიური ორკესტრი

ვ. ი. ჱელიონის ლოტბარობით

სოლისტების მონაწილეობით: სკრიპკა—თავისუფალი ხელოვანი, კუსევეცკის ორკესტრის კონცერტ-მეისტერი **ბ. ი. კრეინინი,** ვიოლონჩელისტი—**ე. ნ. კოპელნიცკი** და გრაფ შერემეტიევის ორკესტრის არფა-არფისტი **ი. ა. პოლომარენკო.**

სამშაბათობით იქნება **სიმფონიური კრებული**

და **შაბათობით** **ჩვეულებრივი კონცერტი.**

ორშაბათობით და **ოთხშაბათობით** საზაფხულო თეატრში გაიმართება

კინემატოგრაფის სეანსები და სიმფონიურ ორკესტრის სამუსიკო განყოფილება.

მცირე ორკესტრი ბაღში დაუკრავს 11 საათიდან ღამის 2 საათამდე.

პარასკეობით:

კინემატოგრაფის სეანსები და **სიმფონიურ ორკესტრის სამი განყოფილება** ღამის 12 საათამდე. 12 საათის შემდეგ კლუბის დაკეტვამდე **დაუკრავს საზანდარი.**

ხუთშაბათობით.

საოჯახო სალამო წარმოდგენები, ცეკვა და სამხედრო ორკესტრი.

კვირაობით. საბავშვო სალამოებს გაიმართება (სალამ. 5—9 საათამდე).

სიმფონიურ და ჩვეულებრივ ორკესტრების დროს მუსიკის დაკვრის დასაწყისი სწორედ სალამოს 9 ს., კინემატოგრაფის სეანსების დასაწყისი სალამოს 8 ნახევარ საათზე. 1225

ვაჭრობა-მრეწველების მოსამსახურეთა კლუბში
(ყოფილი „მიმოზას“ ბაღი, მიხეილის ქ № 143).
დღეს, 2 ივნისს,
ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის სასარგებლოდ

შესდგება **საინტერესო სალამო.**

1) წარმოდგენილი იქნება **მათიკო,** მესამე მოქმედება ავქ. ცაგარლისა.
2) **სინემატოგრაფიული სურათები.**
3) პტიშვო, ფოსტა, ყვავილები, კიოსკები, კოშკები და სხვა მრავალი გასართობები.

ბუფეტი. ✦ შესვლის ფასი 20 კაპ.

30 სალამოს დიასახლისი **ეფ. ს. მესხი.**

8

ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

დანიშნულია დღეს, 2 თიბათვეს 1913 წ., დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში.

განსახილველია: 1) საზოგადოების ანგარიში 1912 წლისა. 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების წესდების შესახებ. 4) მისივე მოხსენება საპენსიო წესდების შესახებ. 5) ქალთა სკოლის ინსტრუქცია. 6) პედაგოგიური და ადმინისტრატიული კითხვები. 7) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე.

თუ საზოგადო კრება 2 თიბათვეს არ შესდგა, კრება ინიშნება ორი კვირის შემდეგ. 1190

გროლის ღიმილი

ლექსები ურითმოდ
ი. გრიშაშვილისა
ორი შაური.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარედაც. 286

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія“
въ Тифлисѣ.

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ ВЪ 1895 г.

№

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს
მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,
„კახეთი“-ს საზოგადოება
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოეკიდება სასამართლოს წესით. 1054

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს.შობ სნეულებანი	ექიმი ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ, პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606“** და **„914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე.

(წელიწადი მეცხრე).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის	მოზრდილთათვის
24 წიგნი.	12 წიგნი.

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი“, ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ორშაბათს, 3 ივნისს, 1913 წ. **უკანასკნელი ქართული წარმოდგენა** სახალხო სახლ. არს. ქართ. დრამ. სცენის მოყვარეთაგან და დამსაჯ. მაგ ქ-ნ ელ. **ჩერქეზიშვილის** მეუღლის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება ა. ცაგარლის 4 მოქ. მხიარული ცნობილი კომედია

ხანუმა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყ. სალ. 8-ნახ. ს.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** 238

---

3 თიბათვეს 1913 წ.
„მიმოზა“-ს ბაღში

(მიხეილის პროსპექტი, იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ)

გაიმართება სეირნობა

ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ.

დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

შესასვლელი ფასი 25 კაპ. ბავშვები და მოსწავლენი იხდიან 15 კაპ. 231

კახელ მევენახეთა საზოგადოება
„კახეთი“-ს გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ
2 ივნისს, დილის 11 საათზე, მთავარ გამგეობის სადგომში მოწვეული

მორიგი კრება საზოგადოების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული 1911—1912 საანგარიშო წლის ანგარიშისა.
2) განხილვა და დამტკიცება 1912—1913 საანგარიშო წლისა.
3) წევრთაგან მიღებულ ღვინის დაფასების ინსტრუქციის გადასინჯვა
4) კახეთში სარდაფისათვის მიწის შეძენა.
5) ვაჭრობის გაფართოვების გეგმა.
6) ახალ წევრთა მიღება.
7) წმინდა მოგების განაწილება
და 8) გამგეობის წევრთა არჩევა.

რადგანაც ეს კრება მეორედ არის დანიშნული, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კრება კანონიერად ჩაირიცხება. 1205

საზურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სალამოს 5 საათიდან 8 საათამდე.** უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი

ბილისა
ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად,

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან სალამოს 5 ს.-დე.

ასპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ა. ხუდობაშევი ბავშვ შინაგანი ავადმ., ყოველ დღე [illegible]—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვესელოვზოროვი სადოსტაქრო ყოველ დღე 3—4 საათ.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ბოლდოევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1—2 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ნაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ქალური და საშებიო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1½ 2½ ს.

სუროვცოვი. შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. 1—2 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით

1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი

ი. ი. ზურიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.,** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სამოსწავლო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი

ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., სად. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

კბილის

ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და სალამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი

ივ. გომართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., სად. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი

ქუთაისში

ვ. თ. ტუღუშელაშვილი.

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

მეორე კანონ-პროექტი

ბეჭდვითი საქმის შესახები კანონ-პროექტის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეორე კანონ-პროექტიც შეიმუშავა: პოლიციის რეფორმის შესახებ. ჯერ გაზეთებში დაწვრილებითი ცნობები არაა ამ ახალ პროექტზე, მაგრამ, რაც არის, ისიც საკმარისია, რომ დავასკვნათ—ეს პროექტიც იმავე ღირებულებისაა, როგორიც პრესის კანონ-პროექტია.

პოლიციის რეფორმის საქმე რუსეთში ძალიან დიდი ხანია აღძრულია, ისე როგორც ბევრი სხვა საჭიროება. მაგრამ, მისი განხორციელება ძველ რეჟიმის დროს შეუძლებელი იყო. მაშინ პოლიციამ ისეთი დიდი ადგილი დაიჭირა რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ისეთი დიდი როლი მიითვისა, რომ ყველა სხვა უწყება დაჩრდილა და მეტიც: ხელთ ჩაიგდო. სხვაგან, სხვა ქვეყნებში, კულტურულს სახელმწიფოებში, პოლიციას ეკუთვნის მცირედი ადგილი და თავის პირდაპირ დანიშნულების მეტს არაფერს აკეთებს. რუსეთში-კი პოლიცია ყველაფერია. „სახელმწიფო მე ვარო“, თამამად შეუძლია სთქვას მან ლუდოვიკო მეთოთხმეტის სიტყვით. რა და რანაირი პოლიცია არ არსებობს: საზოგადო ანუ გარეგანი დამცველი, საჟანდარმო, მაძებარი და სხვა. თუმცა წესებით ყოველ მათგანს განსაკუთრებული ფუნქციები აქვს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია: ერთი პოლიციის ნაწილი მეორის საქმეებში ერევა, თავისას ვერც ერთი ვერ ასრულებს ხეირიანად. მთავარი ნაკლი-კი ის არის, რომ ყველა პოლიციურ უწყებას ერთ-ერთი რამ ასულდგმულებს უმთავრესად. ეს არის „შინაურ მტრების“ აღმოჩენა და დევნა. მთელი პოლიციური მექანიზმი მომართულია პოლიტიკურ ბრძოლისათვის და ამიტომ სხვა პირდაპირი დანიშნულება პოლიციისა მხვერპლად აქვს შეწირული „სახელმწიფო მშვიდობიანობის დაცვის საქმეს“... თუ გავიხსენეთ ამასთანავე, რომ რუსეთის პოლიცია მუდამ მუშაობს „განსაკუთრებულ და გაძლიერებულ დაცვის წესების“ ატმოსფერაში, თქვენ ადვილად მიხვდებით, რატომ არის ასე დაქვეითებული ეს უწყება რუსეთში...

მთელი ეს ხასიათი და მიდრეკილება პოლიციისა რომ შეიცვალოს, უთუოდ საჭირო იყო მთელის რეჟიმის შეცვლაც. იმ რეჟიმში, სადაც სახელმწიფოს ყველა ძალა „კრამოლასთან“ ბრძოლას უნდებოდა, პოლიციაც ამგვარი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, როცა გამოცხადდა ძველი რეჟიმის ლიკვიდაცია, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო, პოლიციის რადიკალური რეფორმა. ვამბობთ „უნდა გამხდარიყო“ იმიტომ, რომ ნამდვილად ჯერაც არ დამდგარა მარჯვე პირობები საჭირო რეფორმისა, რადგან ძველის რეჟიმის სრული ლიკვიდაციისა და სახელმწიფოს განახლების დღეც არ გათენებულა ჯერ. ჯერ-ჯერობით ყველაფერი ძველებურად არის, ძველის ალაგსა და პოზიციასა ზედა სდგას...

ამის სრული დამამტკიცებელია სწორედ ახალი კანონ-პროექტიც. როგორც სჩანს, არსებითად არაფერი იცვლება. იგივე ნაწილებიც კი რჩება, მხოლოდ ზოგს სახელები სხვა დაერქმევა: სისხლის სამართლის პოლიცია (уголовная), მაძებარი, ადმინისტრატული და საჟანდარმო. მათ შორის წინანდებურად გამოურკვევლად იქნება განსაზღვრული სამოქმედო ფარგალი, ფუნქციათა სიდიდე და ხასიათი. ხოლო შესანიშნავი ისაა, რომ საჟანდარმო პოლიცია, არა თუ არ ისპობა ახალ რეჟიმში, ან არა-და, არა თუ არ ერთმევა პოლიტიკურ საქმეთა გამოძიების ვალდებულება, პირიქით, კანონ-პროექტი აძლიერებს კიდეც ამ მხარეს: დაარსებული იქნება განსაკუთრებული კურსები, სადაც ჟანდარმის ოფიცრებს ასწავლიან გამოძიების საქმესა და ზოგ იურიდიულს მეცნიერებასაო. თუ ამას დაუმატებთ რომ მთავრობა პოლიციის რეფორმის შემდეგაც არ ამბობს უარს „გაძლიერებულ დაცვის“ წესებზე, თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ახალი კანონ-პროექტი სრულებით არაფერსა სცვლის და, ვინ იცის, იქნება კიდეც გააუარესოს დღევანდელი ყოფა. ეჭვი არა გვაქვს ამიტომ, რომ მთელი რუსეთის პრესსა, გარდა უკიდურეს ხულიგანების გაზეთებისა, ისეთივე მკაცრის კრიტიკით მიეგება საპოლიციო კანონ-პროექტს, როგორითაც პრესის პროექტს მიეგება. ცხადია, არც პრესას, არც საპოლიციო საქმეს, არც ბევრ სხვა მომწიფებულ საჭიროებას არაფერი არ ეშველება, სანამ მთავარი საქმე—17 ოქტომბრის დაპირებანი—არაა ასრულებული.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

31 მაისის სხდომა

როძიანკო თავმჯდომარეობს. წაიკითხეს თავმჯდომარის ამხანაგის თავ. ურუსოვის განცხადება სათათბიროდან გასვლის თაობაზე. თავმჯდომარის ამხანაგის არჩევა პირველ ივნისისთვის გადაიდვა.

სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გრძელდება.

პურიშკევიჩი. დაბალ სასწავლებლებში აუარებელი წიგნი მოიპოვება, რომლითაც ირყვნება და იწამლება ბავშვის სული; ეს წიგნები ერთ წოდებას მეორე წოდებაზე ამხედრებენ, ისინი ნაძირალების გამრავლებას უწყობენ ხელს. არსებობს სახალხო განათლების ორი სამინისტრო, ერთი ოფიციალური, მეორე მემარცხენე პარტიათა შექმნილი; მეორე სამინისტრო უფრო ინტესიურად მუშაობს. მთავრობის კერძო წარმომადგენელნი ებრძვიან სარევოლიუციო ლიტერატურას სკოლაში, გარნა ეს ბრძოლა სასურველად ვერ სწარმოებს. მემარჯვენეთ მხოლოდ ერთი რამ ჰსურთ: მიიღოს მინისტრმა ყოველივე ღონისძიება, რათა ეს ბოროტება აღმოფხვრას ძირიან-ფესვიანად. საჭიროა სამეცნიერო კომიტეტის რეფორმა. მთავრობამ დაბალ სასწავლებელთათვის უნდა დააწესოს სავალდებულო სახელმძღვანელო წიგნები, სასტიკი თვალყური უნდა ადევნოს სკოლის გარეშე სწავლებას, შეამციროს მასწავლებელთა კურსები, მოუმატოს მასწავლებელთ ჯამაგირი, მასწავლებელ მამაკაცთა ნაცვლად გაამრავლოს მასწავლებელი ქალნი, რადგანაც რუსის ქალი პროპაგანდის გაწევას არ მოჰყვება. გარდა ამისა, სათათბიროს თავმჯდომარემ უნდა მოახსენოს ხელმწიფე იმპერატორს ის გაჭირვებული მდგომარეობა, რასაც დაბალი სასწავლებელი განიცდის.

ნოვიკოვი მეორე. უმაღლესი სწავლა-განათლების საქმე სამწუხარო სურათს წარმოადგენს. მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტი აუტანელ პირობებში იმყოფება. შენობა ძველია, ვიწრო, ლაბორატორიაში მუშაობა გაძნელებულია. პროფესორები ნიჭის დაგვარად კი არ ინიშნებიან, არამედ პოლიტიკურის მრწამსის მიხედვით, პრივატ-დოცენტების უფლებანი შეზღუდულია. რუსის სტუდენტობა რუსეთიდან იძულებით ილტვის საზღვარგარედ. მინისტრმა თვისი შემოქმედებითი ნიჭი უცხოეთში სემინარების დაარსებით გამოჰხატა. სტიპენდიანტების რიცხვი საშუალოს არ აღემატება; ბევრი პროტექციით იგზავნება საზღვარ-გარედ.

ჩხეიძე. თანამედროვე სკოლაში ფრიად მოხერხებულად აწარმოებენ პოლიტიკას, რაიც სრულიად ეთანხმება საშინაო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას. სოც.-დემ. უარჰყოფენ ხარჯთ-აღრიცხვას. სამინისტროს უნდა განეცხადოს, რომ მას ვერ ვანდობთ ვერც კულტურას, ვერც განათლების საქმეს და ვერც ბავშვთა სვე-ბედს. მოლაპარაკემ დაასრულა ლაპარაკი სიტყვებით, რამაც თავმჯდომარის შენიშვნა გამოიწვია. შემდეგ, როცა თავმჯდომარე სტენოგრამას გაეცნო, წინადადება მისცა სათათბიროს—ჩხეიძე ერთი სხდომიდან დაეთხოვნა.

ჩხეიძე თავმჯდომარის წინადადებისამებრ გაიდევნა.

მლ. სმირნოვი. აუცილებლივ საჭიროა უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმა, ახალ საუნივერსიტეტო წესდების შედგენა. უნივერსიტეტი მარტო უმაღლესი სასწავლებელი კი არ უნდა იყოს, არამედ სამეცნიერო დაწესებულებაც. წმინდა მეცნიერება კი ვერ ეგუება პოლიტიკას. უნივერსიტეტში წესრიგის დამკვიდრება და პასუხის გება პროფესორთა კოლეგიას უნდა დაეკისროს. საჰონორარო სისტემა უეჭველად უნდა მოისპოს (ტაში ცენტრში).

სტარლიჩანოვი. სამინისტრო სცდილობს სწავლა-განათლება საზოგადოების თვითცნობიერების შემაფერხებელ იარაღად გამოიყენოს; ამის გამო შრომის ჯგუფი ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემსო ხმას.

ივანოვი. სულის ნათესაობა და კავშირი სტუდენტებსა და პროფესორებს შორის არ არსებობს, გამქრალია აგრეთვე ინტერესი მეცნიერებისადმი; ეს შედეგია სამინისტროს პოლიტიკისა. მოლაპარაკეს მაგალითად მოჰყავს კიევის უნივერსიტეტი, სადაც სიცოცხლე ნელ-ნელა ჰქრება. მოლაპარაკე შეეხო უკრაინის საკითხს; მოლაპარაკე ამტკიცებდა, რომ ადგილობრივ უნივერსიტეტში უკრაინულ ენით და უკრაინის ისტორია უნდა ისწავლებოდესო.

კოსტინკოვი. აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების მინისტრი გაერთიანებულ თავად-აზნაურთა მიერ ნაკარნახევ პოლიტიკას აწარმოებსო.

ლელიუხინის აზრით, საჭიროა პირველ დაწყებითი სასწავლებლის პროგრამები გადათვალიერდეს, განიდევნოს ზედმეტი ვალდებულებანი, რაც თანამედროვე ცხოვრებას არ შეესაბამება; უნდა აირჩეს საქმის მოყვარე მასწავლებელნი, ინსპექტორნი და დირექტორნი.

ლემპიცკი ლაპარაკობს სწავლა-განათლების საქმის თაობაზე პოლონეთში. სკოლა პოლონეთში რუსიფიკაციის იარაღად არის გადაქცეული; სკოლებში ბავშვები კი არ იწვრთნებიან, არამედ მახინჯდებიან სულით და ხორცით. პოლონელთა შორის სწავლის მიღების სურვილი სტიქიის ხასიათს იღებს. მთავრობის სასწავლებელს არა აქვს მოხვეჭილი მცხოვრებთა შორის ნდობა და პატივისცემა. პოლონელი ერი ღირსია ჰქონდეს თვისი საკუთარი სასწავლებელნი უმაღლესი, საშუალო და დაბალი, ღირსია მიტომ, რომ მას აქვს საკუთარი კულტურა, ლიტერატურა და განათლების საქმეშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. პოლონელ ერს სწამს, სიმართლე და ჭეშმარიტება გაიმარჯვებს, ჩვენი სკოლა რეფორმას ეღირსება, მანამდის კი იგი სამინისტროს პოლიტიკას თვის ინტერესთა დამოუკიდებლად სთვლის და ამიტომაც ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

საღამოს სხდომა.

თავ: ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

შუბინსკი კითხულობს მოხსენებას ადგილობრივ სასამართლოს შეცვლის კანონ-პროექტზე. ათ მჭიდროდ დასახლებულ გუბერნიებში უნდა დაარსდეს 2,227 სათემო სასამართლო, თითო სასამართლო დახლოვებით განიხილავს ერთ წელიწადში 1200 საქმეს, იქნება 907 მომრიგებელი მოსამართლე; გარდა ამისა, რომ მომრიგებელი მოსამართლენი წელიწადში 1500 საქმეს გადასწყვეტენ, ევალებათ ითავმჯდომარეონ უმაღლეს სასამართლოებში და თვალყური ადევნონ სათემო სასამართლოთა საქმის წარმოებას. პროექტს კერძო ხასიათი აქვს. გარდა ამისა პროექტს მხედველობაში აქვს საადმინისტრაციო იუსტიცია მომრიგებელ მოსამართლეთა ხელში იყოს და არა ერობათა უფროსებისა. მომხსენებელი სთხოვს სათათბიროს კანონ-პროექტი საჩქაროდ განიხილოს.

ვაკარი. პროექტით სასამართლოს უწყების ინტერესები მსხვერპლად არის მიტანილი საადმინისტრაციო უწყებისთვის. მოლაპარაკეს პროგრესისტთა და გლეხთა ჯგუფის სახელით რამდენიმე შესწორება შეაქვს: ერობათა უფროსების რიცხვის შემცირება, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გაფართოვება. მოლაპარაკე სთხოვს სათათბიროს ყურადღებით მოეპყრან შესწორებას და უთხრან რუსეთს—საჭირო არ არის მისთვის ერობათა უფროსები, არამედ მომრიგებელი მოსამართლენი.

სათათბირომ კანონ-პროექტი მიიღო მცირეოდენის შესწორებით.

მიიღო აგრეთვე სასამართლოს კომისიის ფორმულა: შემოღებულ იქნას ადგილობრივი სასამართლონი 46 გუბერნიაში არა უგვიანეს 1917 წლის პირველ იანვრისა, გააუმჯობესონ სამოქალაქო მოსამართლეთა ნივთიერი მდგომარეობა, წარმოადგინოს იუსტიციის მინისტრმა კავკასიის ადგილობრივ სასამართლოთა დაუყონებლივ რეფორმების კანონ-პროექტი და სხვა.

შემდეგი სხდომა პირველ ივნისისათვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი** გუშინ ტფილისიდან ბათომს გაემგზავრა.

✦ **მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის კურთხევა** დანიშნულია 3 ივნისისათვის, ნაშუადღევის 1 საათზე. თავშესაფარი მდებარეობს საბურთალოზე, საქართველოს სამხედრო გზის მეორე ვერსზე, საარტილერიო ყაზარმების იქით, დიდუბის ბორანის პირდაპირ.

✦ **ბ. ქებურიას ფრენა** გაიმართება დღეს, საღამოს 5 საათზე, ახლად გადაკეთებულ აეროდრომზე, საჯირითო მოედნის იქით. ამას წინად ფრენის დროს დაზიანებული მანქანა ბ. ქებურიას სრულიად განუახლებია და მოტორიც ეხლა გვარიანად მუშაობს. თუ, ვინიცობაა, ცუდი დარი იქნება, მაშინ ფრენა გადაიდება ორშაბათს, 3 ივნისისათვის.

✦ **პროტო-დიაკონის კ. კარგარეთლის იუბილე.** ხვალ, 3 ივნისს, ტფილისის სამღვდელოება, სიონის საკათედრო ტაძრის კრებულის თაოსნობით, ჩვენში კარგად ცნობილ პროტო-დიაკონის კონსტანტინე კარგარეთელის იუბილეს დღესასწაულობს. მამა კარგარეთელი აგერ 25 წელიწადია პროტო-დიაკონად მსახურობს და დღემდე სავსებით შერჩა ის იშვიათი ხმა, რომლითაც ყოველთვის ატკბობდა მსმენელთ. მას, როგორც ადამიანს, დიდი პატივისცემა აქვს დამსახურებული როგორც თანამოსამსახურეთა, ისე მათ შორის, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია, ცოტა დაახლოვებით გაეცნო იგი. ხვალ ეგზარხოსის ნებართვით, იმ დღესასწაულის გამო წირვის შემდეგ, სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პარაკლისი, რომლის შემდეგაც სიონის ტაძრის კრებული თავის მხრივ მიულოცავს იუბილარს და ხატს მიართმევს. ამას მოჰყვება მილოცვები სამღვდელოების სხვა წარმომადგენელთაგან.

✦ **აფთიაქის რევიზია.** ამ დღეებში ტფ. საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების წევრებმა საგუბერნიო ექიმის თანაშემწის ექიმ ბროძელის მეთაურობით მოულოდნელად დაათვალიერეს ჯოგოროვის აფთიაქი, რომელიც მდებარეობს სირაჯხანის აღმართზე და იჯარით აქვს აღებული პროვიზორს ზოლოტნიცკის. რევიზორებმა დაათვალიერეს აფთიაქის ყველა განყოფილება და დიდძალი მედიკამენტი წაიღეს ქიმიურად შესამოწმებლად. რევიზორების ყურადღება მიიქცია რამდენიმე წამალმა, რომელიც ცუდის თვისებისა აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ აფთიაქის გვერდით ჩერნიშევის საფერშლო კანტორა არსებობს. კანტორის რეცეპტებში, რომელიც რევიზორებმა აფთიაქში იპოვეს, თურმე საფთიაქო ნიხრზე მეტს ახდევინებდნენ. რევიზორებმა შესაფერი ოქმი შეადგინეს და ზოლოტნიცკის სამართალში აძლევენ.

✦ **ტეხნოლოგ-სტუდენტების ექსკურსია საქართველოში.** ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში შემდგარა სტუდენტთა ჯგუფი, რომელსაც განზრახვა აქვს მოგზაურობისა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესასწავლად. ამ ექსკურსიას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, რომ ამ თემაზე (ძველი ქართული ხუროთმოძღვრება) ბევრი აპირებს სადიპლომო შრომის დაწერას,

✦ **საბირჟო ცნობები.** 1 ივნისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 90 კ., აძლევენ—85 მან. 20 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 55 კ., აძლევენ—83 მ. 20 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 75 კ., აძლევენ—80 მან.

✦ მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“-ს № 5. შინაარსი: სურათი. ეგზამენების მოლოდინში, გაზაფხული, ლექსი დ. თურდოსპირელისა, პატიოსანი შვილი, ნემეცურიდან გ. მ—სა, ბებია მართა უმურაბოთ დარჩა. ნამდვილი ამბავი. ბამბა (ბიკოვიდან). თარგმანი კუდრაჭასი. ერთი საათის გულისთვის. ფრანგულიდან. არ. ჯვალიშვილისა. „შარახვეტია“ ლექსი ვ. რუხაძისა, მარწყვის დიდედა. ზღაპარი (დასასრული) ვანო საათაშვილისა, წვრილმანი: გამოცანა, შარადა, გასართობი, რებუსი და ახსნა. წყარო ლექსი ლადო გეგეჭკორისა, გმირი-მოღალატე. ისტორიული ამბავი (პოტაპენკოსი), პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრება — ლუნკევიჩისა (გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძის ასულისა, მტკვრის სათავე, ქორონი და თამარ მეფე. მგზავრის დღიურიდან —ილ. ალხაზიშვილისა, მზისკენ. ვ. საათაშვილისა, არჩილ ჯორჯაძე, დედა და შვილი, (არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას) ლადო გეგეჭკორისა, ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი). შემდეგი, სხვადასხვა ამბები, გამოცანები, აკროსტიხი, მოჭრებული სიტყვა და სხვა.

✦ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, მოსძებნონ უკვალოდ დაკარგულნი ვართან ალექსანდრეს ძე მღებროვი, 15 წლისა და მამიკო ხუბოვი, 15 წლისა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 31 მაისს მოხდა. კომისიამ დაადგინა, სასკოლო შენობებისთვის შეიძინოს ასჯაფიევის მიწა გუდოვიჩის ქუჩაზე 48.000 მანეთად და გიგოლოვის მიწა ავლაბარში 6,000 მანეთად. ამას გარდა კომისიამ დაადგინა, 3 ივნისს დაათვალიეროს ის მიწები, რომლის ყიდვაც მოკლე ხანშია განზრახული.

✦ **ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრების** სამეცნიერო-სამრეწველო გამოფენა დაიწყება 5 ივნისს ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში. გამოფენისთვის დიდძალი ექსპონატები დაამზადა საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობამ.

ქუთაისი.

✦ გუშინ პეტერბურგიდან ჩამოვიდა შავიქვის საბჭოს თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი.

✦ ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლების დირექტორს განკარგულება მოუხდენია ქალაქის პირველდაწყებითი სკოლების უკანასკნელი განყოფილების მოწაფეებს ერთად მოუყარონ თავი და ისე გამოსცადონ.

✦ გუშინ გაიხსნა მიხ. სათავ.-აზნაურო ბანკის მორიგი კრება.

✦ ბათომის მახლობლად ჩაქვში ყაჩაღებმა ბათომის ოლქის უფროსის თანაშემწე პერემენინი მოჰკლეს. ყაჩაღებს მძიმედ დაუჭრიათ აგრეთვე დარაჯი სურმანიძე. ამ ამბის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ არის. ამბობენ ყაჩაღთა რიცხვი ოცამდე იყოო.

✦ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გორში გარდაიცვალა ბეჭდვითი საქმის ერთი პიონერთაგანი არსენ კალანდაძე. განსვენებული პირველად ასოთ-ამწყობად იყო, ხოლო სამოცდამეათე წლებში საკუთარი სტამბაც გახსნა. რწმენით ის „ნაროდნიკი“ იყო და 1876 წელს, ქუთაისსა და ტფილისში „ნაროდნიკების“ დაპატიმრების დროს, ისიც დააპატიმრეს. განსვენებული ნახევარი წელიწადი იჯდა ციხეში. უკანასკნელად სტამბა მას გორში ჰქონდა. („იმერეთი“)

შეცდომის გასწორება.

დღევანდელ დამატების პირველ გვერდის სურათის ქვეშ მბეჭდავის დაუდევრობით რამდენიმე ნომერში დასტამბულია „ფაე რალის ახალი მადონა“ უნდა იყოს **რაფაელის** და სხვა.

დღიური

ტალღა.

ჩვენს დღევანდელს მიდუნებულ ცხოვრებას, სხვათა შორის, ერთი მძლავრი ტალღა დაეტაკა, რომლის დიდი შედეგის ეხლავე სავსებით გათვალისწინება მეტად ძნელია. ვამბობ იმ მიდრეკილების შესახებ, რომელსაც სწადიან პრაქტიკულად დაუახლოვდეს თავის მამულს, ჩაიხედოს სინამდვილით მის გულში, შეიგნოს და შეითვისოს ყველა მისი ღირსება და სრულიად ისარგებლოს მთელის მისი სიმდიდრით, ძალით, სილამაზით. ასეთ მიმართულებაში ბევრი პირადია, ეგოისტური, ვაჭრული, წყურვილი საკუთარის ინტერესისა, გამორჩენისა, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაამძლავრებს სიყვარულს მამულისადმი, დაგვაახლოვებს მასთან და მეტის სიმხნით და თავგამოდებით შევუდგებით მის დაცვას და განმტკიცებას: მისწრაფება მისდამი უფრო ძლიერი იქნება ჩვენს გულში და ლტოლვა, განდგომა მისგან უფრო იშვიათი, სუსტი.

მართალია, თუ მამულს, როგორც მცნებას ერთეულისას, ჰქმნის საერთო ისტორიული მოგონებანი, ენა, კულტურა, ოფლი და სისხლი დანთხეული მამულის მიწაზე, თუ დედა გვიყვარს დაუვიწყრად მიტომ, რომ დედა მშობელია, აღმზრდელი, ჭირისუფალი ჩვენი, ნაზად მოალერსე და ტკბილად მოსაუბრე,—ეს მამული, მშობელი ქვეყანა კიდევ უფრო სატრფიალოა, სასურველი, ძვირფასი, როცა ის მშვენიერია, უხვი, მდიდარი.

ჩვენი სამშობლო, რასაკვირველია, ახლა არ გამოცვლილა, იგი მუდამ შემკული იყო ყოველგვარის სიმდიდრით, მაგრამ სამწუხაროდ მისი განძი ჩვენისავე მიზეზით უფსკრულში ჩაძარხული და უსარგებლო. ჩვენს ცხოვრებას ყოველთვის აკლდა პრაქტიკული უნარი, ჩვენი გონება მუდამ განყენებულ აზრებისკენ იყო მიმართული, ჩვენი ოცნება სჭარბობდა, სინამდვილის ძალას ვერ ვგრძნობდით. ამიტომ სრულის სიხარულით უნდა მივეგებოთ პრაქტიკულობის გაძლიერებას ამ ბოლო დროს, რომელიც გამოიხატა სასოფლო-მეურნეობის გაუკეთესების წყურვილში, სხვა და სხვა ამხანაგობის დაარსებასა და კოოპერატიულ აზრების გავრცელებაში. ჩვენში დაიბადა სოფლის მეურნე, ის ჯერ ახლად ფეხადგმულია, მაგრამ იზრდება და, ეჭვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში შესაფერ ადგილს დაიჭერს ცხოვრებაში. წინადაც ყოფილა ჩვენში შეგნება იმისა, რომ ჩვენ გვესაჭიროება აუცილებლივ მეურნე, სამეურნეო ცოდნა, გაუმჯობესება მიწათმოქმედებისა. მაგრამ უძლური იყო ეს შეგნება, არ იყო ღრმად და ფართოდ გასული, რის გამო ყოველივე ცდა ზევიდან უნაყოფოდ რჩებოდა, ჰქრებოდა.

სულ სხვას ვხედავთ დღეს: დღეს ერის გულიდან ამოდის წყურვილი სამეურნეო ცოდნისა, თვითონ ხალხი მოითხოვს ცოდნას, ახალს იარაღს, საშუალებას, რომ გააუმჯობესოს თავისი მოქმედება და წარმოება, რომ მეტი სიმდიდრე აღმოაცენოს მიწიდან. ამის დასასაბუთებლად საკმარისია მოვიგონოთ ამ დღეებში დაბეჭდილი ამბავი, რომ ქუთაისის გუბერნიაში რამდენიმე სოფელმა ითხოვა სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნა, რისთვის მზად არიან შესწირონ მიწა და არ მოერიდონ არავითარს ხარჯს; გავიხსენოთ, თუ როგორის თანაგრძნობით ეკიდება სოფელი ქართული სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობას, გავიხსენოთ წვრილი კრედიტის შესამჩნევი ზრდა, ბევრი ძვირფასი, მაღალი კულტურის მცენარის გავრცელება იმერეთში, ორი სასოფლო-სამეურნეო გაზეთის არსებობა—ყოველივე ეს ცხად ჰყოფს, რომ ცხოვრებას დაეტაკა ახალი ტალღა, ტალღა ძლიერი, გამაცოცხლებელი, ნაყოფიერი. ჩვენი სოფლის გაკულტურება ეკონომიურად, სოფლის წარმოების მოწყობა ახალი საუკეთესო საშუალებით, გამოყენება სავსებით სოფლის სიმდიდრისა—ეს ისეთი დიდი საქმეა ჩვენი ერისთვის, რომელიც ერთიან შესცვლის ჩვენს ცხოვრებას და მიანიჭებს მას იმ ძალას და სიმტკიცეს, რომლის შესახებ დღეს ვოცნებობთ მხოლოდ...

ამ მოსაზრებით, სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა ქალებმაც აიღეს ალღო ამ ტალღისა და თავის მხრით ხელს უწყობენ ჩვენი მეურნეობის წინსვლას. ტფილისში, მაგალითად, რამდენიმე წელიწადია არსებობს ჩინებულად გამართული სახელოსნო სკოლა ქალთა ამხანაგობისა; მომავალი წლიდან „განათლების“ საზოგადოება აარსებს ქალებისათვის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელს და ქართულ გიმნაზიასთან არსებულ ქალთა სასწავლებლის სამზრუნველოს განუზრახავს მისი გადაკეთება ისე, რომ სასწავლებელი ამზადებდეს დედის აღმზრდელს, მეურნეს, მეოჯახეს.

სულით და გულით მივესალმებით ამგვარს მიმართულებას. ერთი სიტყვაც არ მინდა ვსთქვა საზოგადო განვითარების წინააღმდეგ, ფრიად ვაფასებ მის მნიშვნელობას, მაგრამ საჭიროა პრაქტიკული განათლებაც, იარაღი ცხოვრების ასამოძრავებლად.

სიტყვა.

ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება

29 მაისი.

ამ დღეს ასარჩევი იყო—თ.-აზნაურობის მდივნის კანდიდატები, მარშლის ორი კანდიდატი და ქართული გიმნაზიის მზრუნველი კომიტეტის წევრნი.

კრების დასაწყისში თ-მა დ. ო. ნიჟარაძემ წინადადება მისცა კრებას, რომ მან დაავალოს თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ ნამესტნიკის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რომ პოლიტეხნიკუმის ადგილის ასარჩევ კომისიაში დასავლეთი საქართველოს აზნაურობას წარმომადგენლობა მიეცეს. წინადადება ერთ ხმად იქნა მიღებული.

ქართული გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტის წევრებათ ერთხმად აირჩიეს: თ-დი ს. დ. წერეთელი, თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, თ-დი დ. ა. მიქელაძე, ბ-ნი ვარლამ ჭილაძე, ბ-ნი დავით მდივანი და ბ-ნი სპირიდონ ჯორჯიკია, ხოლო თ-აზნაურობის მდივნის კანდიდატებად დიდი ხმის უმეტესობით აირჩიეს—პირველ კანდიდატად—ბ-ნი დავით მდივანი და მეორე კანდიდატით—ბ-ნი ილია მაჭავარიანი.

ჯერი მიდგა გუბერნიის მარშლის არჩევანზე.

თ-დი **იასონ გოლოვანი** მარშლის არჩევანი ჩვენ შორის განხეთქილებას იწვევს ხოლმე; საჭიროა ახლა მაინც მოვაწყოთ ისე საქმე, რომ შეთანხმებით მოვახდინოთ არჩევანი. ნუ ავჩქარდებით, ხვალ მოვახდინოთ არჩევნები და იქნება ეს ერთმანერთან შეთანხმებით მოვახერხოთ.

თავმჯდომარე. თანახმად კრების მიერ გამოთქმული სურვილისა, კრებას ვხურავ და გთხოვთ ხვალ, დილის ათ საათზე, მობრძანდეთ არჩევნების დასამთავრებლად.

ამის შემდეგ თ-დი დ. ვ. ნიჟარაძე კრებას სტოვებს მიუხედავად კრების პროტესტისა.

თეატრის დარბაზში დარჩენილი საზოგადოება არ იშლება და ითხოვს, რომ თავმჯდომარე დაბრუნდეს და კვლავ განაგრძოს კრება. გადის ნახევარი საათი, თავმჯდომარე არსად არის. მიუხედავად იმისა, რომ კრება არ იშლება, პატარა ხანს უკან კვლავ გამოჩნდა თ-დი დ. კ. ნიჟარაძე ესტრადაზე, კრებას არა ხსნის მიუხედავად საზოგადოების თხოვნისა და ამის საბუთად ის მოჰყავს, რომ ტელეგრამებიაო გაგზავნილნი სხვა და სხვა პირთან იმ მიზნით, რომ შეიტყონ იყრიან თუ არა მარშლობაზე კენჭს. თ-მა დ. კ. ნიჟარაძემ თავისი გაიტანა და კრება დაიხურა.

ამავე დღეს ბანკის დარბაზში კერძო თათბირი მოხდა თ.-აზნაურობისა მარშლის ადგილზე კანდიტატების დასასახელებლად. სამწუხაროდ კრებაზე გვიან მოვხვდი. მივუსწარი სწორედ მაშინ, როცა თ-დი დავით ო. ნიჟარაძეს მოლოდინში იყვნენ მოთათბირენი. თ-დი ნიჟარაძის მოწოდება იმითი იყო გამოწვეული—რომ გაეგოთ, მხარს დაუჭერდა თუ არა მოთათბირეთა მიერ დასახელებულ კანდიდატებს—თ-დ ივანე ნაკაშიძეს და თ-დ პროკოპი შარვაშიძე.

თ-დი **დ. ო. ნიჟარაძე**: სრული თანხმა ვარ თ-დი ივანე ნაკაშიძის კანდიდატურისა და სხვებთან ერთად მეც მოვაწერ ხელს იმ თხოვნას, რომელიც დაიგზავნება მასთან.

თ-დი **ოთარ დადეშქელიანი**: ჩვენ აქ დავასახელეთ კანდიდატებად თ-დნი: ივანე ნაკაშიძე და პროკოპი შარვაშიძე. ჩვენ მოგიწოდეთ თქვენ და გვინდა გავიგოთ,—შეიწყნარებთ თუ არა ამ კანდიდატებს და მისცემთ თუ არა მათ ხმას თქვენ და თქვენი თანამოაზრენი, რომელთა რიცხვი 40 მეტია.

თავ. დ. ო. ნიჟარაძე. პირადად მე ერთსაც და მეორესაც ცხადად მივცემ თეთრ კენჭს, ხოლო პასუხის გებლობის მიღება იმის შესახებ, რომ ჩემი თანამოაზრენი აქ დასახელებულ კანდიდატებს თეთრს მისცემენ მე არ შემიძლიან, რადგან თქვენგან დასახელებული ჩემი თანამოაზრენი ჩემი თითის გაქნევით არ მოქმედებენ ყველგან და ყოველთვის.

თავ. ოთარ დადეშქელიანი. თქვენ მაზრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგუბერნიო არჩევნებში და ამიტომ უნდა აღგვითქვათ, რომ თქვენი თანამოაზრენი ხმას მისცემენ ჩვენ მიერ დასახელებულ კაცებს.

თავ. დ. ო. ნიჟარაძე. პასუხად იმასვე ვიტყვი, რაც უკვე მოგახსენეთ—აშკარად მივცემ ერთსაც და მეორესაც თეთრ კენჭს, მაგრამ პასუხის გება სხვის მაგიერად არ შემიძლია.

თავ. ო. დადეშქელიანი. მაშ, თქვენ ორგანიზაცია არ გქონიათ და არც პირდაპირი პასუხის გაცემა გნებავთ. ამისთანა პირობებში, მე ორი მაზრის, რაჭისა და ლეჩხუმის, მხრით პროტესტს ვაცხადებ და ხვალ ვინც უნდა დაიდგას ყუთი თავად-აზნაურნი ამ ორი მაზრისა შავს კენჭს მისცემს. ამის შემდეგ თავ. დადეშქელიანი დარბაზს სტოვებს და კრებაც იშლება.

დაგვიანებული პასუხი აკაკის *)

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!!“
აკაკი.

ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მხცოვანო პოეტო,
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავ-ზარი დამეცა:
სიტყვა მოსული სათქმელად
ენიდან მომწყდა, გამექცა.
დავღონებულვარ ძალიან
თითქოს სახლ-კარი დამექცა.
რადა? რა ღმერთი გამიწყრა
მარგალიტების მფლობელსა
რომ თავის **უშნო** ენითა
ვერას ვაგონებ მშობელსა?!
ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსა?
მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმაროპს ლონედა.
და როცა მარგალიტს სთესავს
ან თუ ააგებს ყორედა.
მაინც ის არი, რაც არი,
ჭორები მოაშორეთა!..
იქნებ მე, ჩემმა ენამა
სამშობლო დავაღონეთა?
ფრთები შევკვეცეთ, ოცნება
დავამხეთ დავამონეთა?!.
უვარგისობის მიზეზი
ფშავლობა არი სწორედა
მოძღვნილი არი მთის მიერ,
ჩამოტანილი ქარისა
რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი,
ამ ჰანგს ბუნება ბარისა,
იქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი იქაც ჰყვავისა,
ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად,
მთიელთ სამშობლო თავისა.
და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა:
იქნებ აკლია, არ ვიცი,
ამ ლომს სინაზე ქალისა...
ამისთვის დასაგმობია
და წასაღები წყალისა?!.
კაცი მეტყველი, მგრძნობელი,
ცხოვლად ამხელი თვალისა,
ამ გვარის ამბის მოწამე,
შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა.
მაინც წინ მივალ, მაინცა,
არ მეშინიან შარისა.
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა.
სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჭრელი კარისა...
სჯობს რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა.
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ,
მთიდან ყვირილი ზარისა.

ვაჟა-ფშაველა.

ფულის დამტყუებელთა ბრბოს შეპყრობა

ამ დღეებში, ტფილისის პოლიციამ ფულის გამომტყუებელთა მთელი ბრბო შეიპყრო. საქმის ვითარება შემდეგია:

ამ წლის 11 აპრილს განოვის ქუჩაზე (№ 19) მცხოვრებმა, კახეთის რკინის გზის ალმშენებელმა, პირველ გილდის ვაჭარმა ისრაილ ხაიმოს ძე გრინბერგმა ტფ. მაძებარ პოლიციის უფროსს განუცხადა: გუშინ მუქარის წერილი მივიღე, რომლითაც უცნობნი „40 ანარქისტთა“ სახელით მთხოვდნენ, ათის დღის განმავლობაში 25,000 მან. დაგვიმზადე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვკლავთო. ამის შემდეგ ტფ. პოლიცმეისტერმა გენ.-მაიორმა ზისიპკინმა განკარგულება მოახდინა, რათა მაძებარ პოლიციის აგენტებს თვალყური დაეჭირათ გრინბერგის სახლზე, აგრეთვე კარგად ეთვალიერებინათ ყველა ის ადგილი, სადაც გრინბერგი დაიარებოდა. სხვა ღონისძიებანიც იქმნა მიღებული ფულის გამომტყუებელთა შესაპყრობად.

19 აპრილს გრინბერგმა იმავ უცნობთაგან მეორე წერილი მიიღო. 22 აპრილს გრინბერგმა ნაძალადევში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, სადაც წერილის ავტორნი ფულის მიტანას თხოულობდნენ, გაჰგზავნა თავისი მოსამსახურე და მცველი, ქუთაისის მაზრის სოფელ მაღლაკის მცხოვრები **თ-დი დიმიტრი ერეკლეს ძე ნიჟარაძე**, რომელსაც დაბეჭდილი პაკეტი გაატანა. ამ ადგილას ფულის მისაღებად არავინ მისულა, ამიტომ ნიჟარაძემ პაკეტი უკან მოუტანა გრინბერგს. ამის შემდეგ ფულის გამომტყუებელთაგან გრინბერგმა სხვა და სხვა დროს კიდევ ხუთი წერილი მიიღო. თხოულობდნენ 25,000 მან. და სხვა და სხვა ვადას უნიშნავდნენ. ადგილს უნიშნავდნენ სარკინისგზო ხიდს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, სადაც გრინბერგს ფული უნდა გაეგზავნა, რომელიმე ქალის ხელით. დანიშნულ დღესა და საათზე გრინბერგი ქალს პაკეტით მუდამ ჰგზავნიდა, მაგრამ ფულის მისაღებად არავინ მიდიოდა. დანიშნული იყო აგრეთვე საბურთალო, სადაც გრინბერგს 28 აპრილს 200 მან. უნდა გაეგზავნა მოსამსახურის ხელით. მოსამსახურე გაჰგზავნა, მაგრამ ფულის მისაღებად კიდევ არავინ მივიდა.

ამ ხანში პოლიცია უცნობთა ზვერასა და აღმოჩენას განაგრძობდა. მათ გამოარკვიეს, რომ რკინის გზის ხიდზე ფულის მიტანის ვადის დროს და აგრეთვე გრინბერგის სახლთან საეჭვო პირები ჩნდებოდნენ, რომელნიც თვალს ადევნებდნენ როგორც თვით გრინბერგს, ისე უკანასკნელის მიერ გაგზავნილ პირთ. გამომტყუებელთა ბრბოს შემადგენლობა ნელ-ნელა ირკვევოდა; გამოირკვა ისიც, რომ გრინბერგის მცველი თ-დი დიმიტრი ნიჟარაძე ბრბოს წევრებს ჩუმად ხშირად ხვდებოდა. ამის გამო პოლიციამ ნიჟარაძეს ფარული ზვერა დაუწყო. ბრბოს წევრნი თავის მოქმედების გეგმის შესამუშავებლად სხვა და სხვა პუნქტში ხვდებოდნენ ერთმანეთს.

4 მაისს გრინბერგმა ხელ-ახლა მიიღო მუქარის წერილი, რომლითაც თხოულობდნენ, ქალის ხელით რკინის გზის ხიდზე 25,000 მან. გაეგზავნა 6 მაისს, დილის 9 საათზე. ამის გამო, პოლიცმეისტერის განკარგულების თანახმად, 6 მაისს, დილის 7 საათიდან რკინის გზის ხიდის მახლობლად ფარულად დადგნენ პოლიციელნი. 9 საათ. ქალი ხიდისკენ გაგზავნეს დ გაატანეს პაკეტი, რომელშიაც იყო 129 მან. ქაღალდის ფული, რომლის ნომრებიც მაძებარ პოლიციას წინადვე ჰქონდა ჩაწერილი. დილის 8 საათ. ნახევარზე რკინის გზის ხიდთან ორი საეჭვო უცნობი გაჩნდა. როდესაც ქალი პაკეტით ხიდთან მივიდა (უკვე დილის ათი საათი იყო), მასთან ერთი უცნობთაგანი მივიდა და ჰკითხა; „თქვენ გრინბერგისაგან ხართ“. ქალმა პასუხი მისცა. მაშინ უცნობ-ქალს უთხრა; „მე ის კაცი ვარ, ვინც ფულსა სთხოვდა გრინბერგსაო“ დ პაკეტი გამოართვა. იგი შეუერთდა მეორე თავის ამხანაგს. ორივე მალაკნის ქუჩით გაემგზავრა ვაგზლისაკენ. იქიდან ნაძალადევს წავიდნენ. პირველად შევიდნენ პარკის ქუჩაზე, სახლში № 27, სადაც ორი მათი ამხანაგი სცხოვრობდა. ამხანაგები იქ არ დახვდნენ, ამიტომ ჩქარა გამობრუნდნენ და შევიდნენ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (№ 243) კერძო ვექილის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურის მცხოვრებ სვიმონ ევნატეს ძის კონტრიძის სახლში. პოლიციელებმა ორივე უცნობი, აგრეთვე სახლის პატრონი, რომელიც მათ გამოჰყვა, იქვე შეიპყრეს ქუჩაში. იმავ დღეს შეიპყრეს ბრბოს დანარჩენი წევრებიც, მათ შორის, გრინბერგის მცველი თ-დი ნიჟარაძე. შეპყრობილთა ვინაობა გამოარკვიეს და აღმოჩნდნენ: 1) პაკეტის ამღები—შორაპნის მაზრის სოფელ ბოსხევის მცხოვრები სვიმონ ივანეს ძე ჭუმბურიძე, 24 წლისა, რომელსაც შეპყრობის დროს ფულიანი პაკეტი აღმოაჩნდა, 2) ნოე კაზანის ძე გოგუა, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯირკვეთის მცხოვრები, რომელმაც პირველად ივანე ღოღოძე დაირქვა; იგი გადასახლებული იყო არხანგელის გუბერნიაში, საიდანაც თავის ნებით დაბრუნებულა, 3) ერმოლოზ ლუკას ძე დოლიძე, 29 წლისა, რომელიც აგრეთვე გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა, 4) საულ ივანეს ძე აბულაძე, ქუთაისის მაზრის სოფელ ოფშას მცხოვრები, 43 წლისა, 5) სამსონ ჩიტალას ძე თავაძე, ოზურგეთის მაზრის სოფელ სამღვთოს მცხოვრები, 6) სოლომონ ზაქარიას ძე ნატრაშვილი, 20 წლისა, გორის მაზრის სოფელ ქვემო-გომის მცხოვრები.

გამოირკვა, რომ ზემო-ხსენებულმა პირებმა ერთმანეთს შორის მოილაპარაკეს და გრინბერგის მცველ ნიჟარაძესთან შეთანხმებით მუქარის წერილი გაუგზავნეს გრინბერგს. წერილები აღმოჩნდა ნოე გოგუას ხელით დაწერილი. აღმოჩნდა, რომ რევოლვერი, რომელიც ერმოლოზ დოლიძესა ჰქონდა, ნიჟარაძეს ეკუთნოდა. ყველა შეპყრობილი ციხეში გაჰგზავნეს.

პატარა ფელეტონი

ჩვენებური პარიჟი

„მწვანე კლუბის“ მამასახლისების სხდომა დაიწყო. თავმჯდომარე გულმოდგინეთ ხუხავს ესენტუკის № 20-ს და ბოლოს ამბობს:

— ბატონებო! ერთმა მემუსიკემ თავისი სიმფონიები მოგვიტანა და გვთხოვს ვიყიდოთ ან კონცერტი გავმართოთ. რას იტყვით? როგორ მოვიქცეთ?

ერთი მამასახლისი ულვაშებს გადიგრეხს და თავმომწონედ შეუტევს თავმჯდომარეს:

— რად გვინდა მაგის სიფონები? ლაღიძისაგან მოგვდის საუკეთესო სელტერიცა და სხვა წყალიც!..

სხვა მამასახლისები მოწონების ნიშნად ტაშის ცემით ეგებებიან ახალგაზდა ორატორის სიტყვას, მაგრამ თავმჯდომარე ცივ წყალს გადაასხამს ყველას:

— რას სულელობთ, ჩუმად იყავით—არავინ გაიგონოს. სიფონებს კი არ გეუბნებით, სიმფონიებსა... ბოთლები როდია ეს, ნოტებია... დაუკრავენ... ორკესტრი დაუკრავს... ერთგვარი ჰანგებია, აი როგორც „სარი“ ზურნაზე... ვერ მიხვდით?

ბევრს ეჩიჩინა თავმჯდომარე, მაგრამ მამასახლისებმა ვერაფერი ვერ გაიგეს... ნოტებიც მოატანინა; მამასახლისებმა ბერვი სინჯეს, ატრიალეს, ფურცელს რაღაც ახირებულ ქარაგმებით დაწერილი რვეულები, სვეს ესენტუკი, ჰღვარეს ოფლი; მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტეს, ვერ გამოარკვიეს—რა უნდა ეთქვათ ამ უცნაურ რვეულების პატრონისთვის...

ბოლოს ერთ მამასახლისს, რომელიც ხშირად იძლეოდა ხოლმე ჭკუიან რჩევას, უბრალო, მაგრამ დიდებული აზრი მოუვიდა თავში:

— ბატონებო! მუსიკა არც ისე ადვილია, როგორც თქვენა გგონიათ. ესეც ხელობაა... შეგიძლიანთ თქვენ, მაგალითად, ჩექმების შეკერვა ან პურის გამოცხობა?.. არა, არ შეგიძლიანთ... მუსიკაც ასეა, ამასაც შესწავლა უნდა... ამისთვის სხვაგნებური სასწავლებელიც-კი არსებობს პეტერბურგში—კონცერტორია ჰქვიან...

მამასახლისთა შორის კმაყოფილების გუგუნი ისმის. ორატორი თავმომწონედ გადახედავს მათ და გრძნობით განაგრძობს ერთი წუთით შეწყვეტილ სიტყვას:

— დიაღ, ბატონებო, მუსიკა ძნელი საქმეა! რა-კი ჩვენ ამაების არაფერი გაგვეგება, მე წინადადებას ვიძლევი: მოვიწვიოთ ბატონი ბლადიანცი; აი ის, „ზაკავკაზიეს“ რეცენზენტი რომ იყო... მშვენიერ სტატიებს სწერდა და ეგ საქმე კარგად იცის... ჩავაბაროთ მას მუსიკალური ნაწილი და არხეინად ვიყოთ. მოვა ვინმე, კონცერტი-მონცერტი მინდაო,—ჩვენ ვეტყვით: „მიჰმართეთ, ბატონებო, ბლადიანცს, ის არის სამუსიკო ნაწილის გამგე“. ვეტყვით და კარგად თვალებსაც დავუბრიალებთ!..

— „ურა“! „ბრავო“!—გაისმა დარბაზში კმაყოფილიყვირილი. მამასახლისები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ჰკოცნიდნენ დ ულოცავდნენ ერთმანეთს; ზოგმა ცრემლებიც დაჰყარა...

მეორე დღეს დეპუტაცია უკვე ბლადიანცს ესტუმრა. მოწიწებით თავი დაუკრეს და მოახსენეს:

— კლუბი ჩვენი დიდია და მდიდარი, მხოლოდ წესები არ გვივარგა; მუსიკისა, მაგალითად, ვერაფერი გავაწყვეთ. მოდი, გვიპატრონე, ჩაიბარე სამუსიკო ნაწილი... შენ ეგ საქმე დიდებულად იცი და, ღვთის გულისათვის, მოგვხედე...

ბლადიანცმა თავმომწონედ ულვაშები გადიგრიხა და დინჯად წარმოსთქვა:

— დიაღაც ვიცი... ვაგნერი... ლოენგრინი... უვერტიურა... კავატინა... ალეგრეტო — მოდერატო... ვიცი, მაშ!..

მამასახლისები სიამოვნებით თრთოდნენ და თან შიშისაგან კანკალებდნენ—ვაი თუ უარი გვითხრასო, მაგრამ ბლადიანცს შეებრალა დარბაისელი მოღვაწენი და მოახსენა:

— მოვალ, მოვალ! გიპატრონებთ. მხოლოდ ეს იცოდეთ: არ მიყვარს, როცა ჩემ საქმეში ვინმე სხვა შემოჩრის თავის ცხვირს...

მას აქეთია „მწვანე კულბის“ მუსიკალური ნაწილი ბლადიანცის საიმედო ხელშია. ისიც გრძნობს, რომ მთელი ტფილისი მას შესჩერებია და ისე დადის, თითქო ვაგნერიცა და გრიგიც გადაუყლაპავსო... მიდიან მასთან ჩვენი მემუსიკენი, მომღერალნი, არტისტები დი ემუდარებიან კონცერტის ან წარმოდგენის გამართვას... მოწყალება მოიღე, გაგვიმართვინე კონცერტი...

— ვინა ხართ თქვენ?

— მენაბდე გახლავართ, ქართველების კომპოზიტორი...

— მენაბდე... ჰმ! ჰმ! მაგ გვარის კომპოზიტორი მე არსად გამიგონია.. ქართველი კომპოზიტორიო, ამბობთ თქვენ.. კარგი, კარგი, შემიძლია დაგეხმაროთ: დაგითმობთ თეატრს ერთი წლის შემდეგ; დაგითმობთ ორკესტრის 1/64 ნაწილს და ამასთანავე უზრუნველვყოფთ წმინდა შემოსავლად ერთ აბაზს.

— გმადლობთ, ბატონო, თანახმა ვარ ორკესტრის 1/64 ნაწილზე, აბაზზედაც, მაგრამ ერთი წლის ვადა ერთობ გრძელია. იწამეთ ღმერთი, შემიმოკლეთ...

— არა და არა, არ შემიძლიან! ერთი თვე თეატრი დათმობილი აქვს „თამარა გრუზინსკის“ შანტანს, მეორე თვე ჩინეთის ჯამბაზებს, მესამე ბალალაიჩნიკებს და სხვა. ასე რომ თეატრი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იქნება თავისუფალი...

მენაბდეც, მეტი რა გზა აქვს, თანახმაა... ასე სხვა ჩვენი მემუსიკენიც, მომღერალნიც იხრიან ქედს ბლადიანცის წინაშე და იმის შიშში არიან—ვაი თუ მალე სულაც აღარ შეგვიშვას „მწვანე კლუბის“ ბაღშიაო. ამას წინად კიდეც დამუქრებია ერთ-ერთ ჩვენ საზოგადოებას:

— თქვენს სეირნობაზე ვილაცამ ხეს ერთი ფოთოლი მოჰგლიჯა და იცოდეთ, სანამ მე აქა ვარ, თქვენ ამ ბაღში არავის არ შემოგიშვებთ...

ნუ, ნუ გაწყრები: ბალი, ალი!..

ესიკელაჰ კეჭანტირაძე.

კომპოზიტორი დიმ. ეგნ. არაყიშვილი

(მისი კონცერტის გამო)

ახლახან ტფილისს ჩამოსული ქართველი კომპოზიტორი დიმ. ეგნ. არაყიშვილი 8 ივნისს ქართულ თეატრში კონცერტსა ჰაართავს.

მკითხველთა ყურადსაღებად მოგვყავს ჩვენი კომპოზიტორის მოკლე საბიოგრაფიო ცნობანი.

ბ-ნი არაყიშვილი დაბადებულა 1875 წელს ქალ. კავკავში, თერგის ოლქში.

სამუსიკო განათლება არაყიშვილს მიუღია საფილარმონიო სკოლაში, რომელიც გაუთავებია 1901 წელს (მუსიკის თეორიის კლასი). იმაზე წინად ბ-მა არაყიშვილმა თავი გამოიჩინა როგორც საზოგადო, ისე სამუსიკო ასპარეზზე. 1901 წელსავე საიმპერატორო საზოგადოების საეთნოგრაფიო ნაწილის დავალებით ბ-ნმა არაყიშვილმა იმოგზაურა საქართველოში. დაბრუნებისას მან რამდენიმე მოხსენება წაიკითხა საზოგადოებაში, შემდეგ რამდენიმე დაბეჭდა კიდევაც. დაბეჭდა აგრეთვე ნაწერილი ქართული სიმღერები; თითქმის ყველა მის ნაშრომს საზოგადოება რაიმენაირად ასაჩუქრებდა. გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ბ-ნი არაყიშვილი ბევრსა მუშაობს განსაკუთრებით ქართულ მუსიკისათვის. მის რომანსებს, სიმღერებს, სასიმფონიო ნაწარმოებს და ოპერას „თქმულება შოთა რუსთველის შესახებ“, ყველა მის ნაწარმოებს აშკარად ეტყობა ძველი ქართულის სულის გავლენა და ეს სული არის მისი მუსიკის წყარო, წყარო ბ-ნ არაყიშვილის შემოქმედებისა. ყველა დარგში ბ-ნი არაყიშვილი დაუღალავი მუშაკია. მანამდე ღარიბს ქართულს სამუსიკო ლიტერატურას ბ-ნმა არაყიშვილმა ბევრი რამ შესძინა, გაამდიდრა თავისი მასალებით, მოაგროვა და სისტემად დააწყო ისინი და ქართველი ხალხის სამუსიკო შემოქმედებაზე განსაზღვრული აზრი და შეხედულება დაამკვიდრა. ბ-ნ არაყიშვილამდე ქართულ მუსიკას ეძახდნენ საერთო სახელს—„აღმოსავლეთისას“. ჩვენი კომპოზიტორის წყალობით ქართული მუსიკა ცალკე დარგად აღიარეს და აღინიშნა კიდევაც თუ როდის დაადგა ქართული მუსიკა დამოუკიდებელ გზასა. არაყიშვილის წყალობით ქართული მუსიკა თავის დროს მუსიკის ისტორიაში დამოუკიდებელ ადგილს დაიჭერს. იგი იღვწის რაც შეიძლება ფართოდ გააცნოს ხალხს ქართული მუსიკა, როგორც პატარ-პატარა შენიშვნებით, აგრეთვე მოხსენებით და სხვა. მისი მიუდგომლობა მიზეზი იყო იმისა, რომ რუსეთის საზოგადოება კავკასიელ ხალხთა მუსიკით დაინტერესა. ამავე ღირსებამ დაუმკვიდრა მას მუსიკის მცოდნე ადამიანის სახელი.

ამას წინად გამოსცა ს[illegible]ბისათვის რამდენიმე კრებული ქართული სიმღერებისა, მუსიკის თეორიის სახელმძღვანელო და საბავშვო სიმღერები. არაყიშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სამუსიკო ყოველგვარ საქმეში; 1980 წელს იყო ჟურნალ „მუსიკისა და ცხოვრების“ რედაქტორად.

არაყიშვილი თავმჯდომარეობს მოსკოვში ახლახან დაარსებულ ქართველთა ლიტერატურის და ხელოვნების საზოგადოებას.

ფრიად საგულისხმოა მოვიყვანოთ ბერლინის ჟურნალ „დე მუსიკ“-ის აზრი არაყიშვილის წიგნზე „დასავლეთ საქართველოს საეროვნო სიმღერები“

„ბატ. არაყიშვილი კეთილ სინდისიერი მკვლევარია, რომელსაც მუსიკის მეცნიერებისათვის თვისი ბევრი ნაწარმოებით დიდი ღვაწლი დაუდვია“.

მოწერილი ამბები

სოფ. პატარა-ლილო (ტფილისის მაზ.). ეს სოფელი მდებარეობს ტფილისიდან 12 ვერსის მანძილზე და, მიუხედავად სიახლოვისა, იმყოფება სრულ სიბნელეში. აქ არამც თუ რაიმე გონების განმავითარებელი დაწესებულება არ არსებობს, სკოლაც კი მხოლოდ წარსულ ენკენისთვიდან გაიხსნა. სოფელში სცხოვრობს 62 კომლი, ამ სოფელს სამის მხრით არტყია მთა და ერთის მხრითკი—დიდი ხევი ჩამოუდის. ეს მთა თანდათანობით იმზღლევა და ყოველთვის აყენებს მცხოვრებლებს დიდ ზარალს. სახლები აშენებულია მთის ძირას. 7-ს მაის მთის ნიაღვარმა დაანგრია პეტრე მაყიშვილის სახლი დი რამდენიმე სახლში წყალი შევარდა. ხალხი დროზედ მიეშველა და გადაარჩინა მცხოვრებნი უბედურებას. 17 წლის წინეთ მომზღვლეულმა მთა და მთლად გაუნადგურებია ბაღები და ბოსტნები. ამ ჟამად ის ადგილი გადაქცეულია ჭაობებად. ერთად ერთი გზა აქვთ და ისიც ხევის პირას, რომელიც ძნელი გასავლელია ცარიელ ურმითაც, რადგანაც მთის წყალი აფუჭებს ყოველთვის ბოგირებს და ვერა გზით ვერ შეუმაგრებია ამ საწყალ ხალხს ეს გზა. 20—30 ფუთი რაიმე რომ მოჰქონდეთ ურმით, უეჭველად უნდა შეაბან 5-6 უღელი ხარ-კამეჩი. მართალია სოფელმა ამ სამი წლის წინეთ გადასწყვიტა გადასახლება ამ უბედურ ადგილიდან, ხევს გაღმა უშიშარ ადგილას დაჰყვეს სახლკარისთვის ადგილები, მაგრამ სისაწყლის გამო ჯერაც ვერ მოუხერხებიათ გადასახლება, რადგანაც იქ საჭიროა წყლის გაყვანა და სახლების აშენება. წარსულ მარტს სოფელმა აირჩია თავისი წარმომადგენელი ამ საქმის მოსაგვარებლად. წარმომადგენელმა მარტის გასულს მიჰმართა მეფის მოადგილეს თხოვნით, რათა მან აღმოუჩინოს ნივთიერი შემწეობა ამ საშიშს ადგილიდან გადასასახლებლად, ეკლესიის, წყლის, სკოლის და სახლების გასაკეთებლად; შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული.

მღვდ. **ალექსანდრე გაბუნია.**

მუშათა და გლეხთა ცხოვრება

◆ ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრების გლეხთა ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა ტაში დაუკრა დეპუტატს სვიატოპოლკ-მირსკის, რომელმაც ქება-დიდებით მოიხსენია ბატონ-ყმობის დრო. ამის გამო გლეხთა ჯგუფმა განცხადება დაბეჭდა, რომელშიაც აღშფოთებული პროტესტს აცხადებს ხსენებული ხმების გამო. „ჩვენ, ამბობენ ჯგუფის წევრები, სათათბიროში მოვედით არა იმიტომ, რომ იარაღად ვემსახუროთ გლეხთა დამონებას არამედ იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყოთ მათ ქონების და უფლების გაუმჯობესებას. ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ უნდა დავეხმაროთ იმ წესწყობილების დამყარებას, რომელიც გამოცხადებულია 17 ოქტომბრის მანიფესტით და რომელიც დღემდის გახუხორციელებელია. არა, ჩვენის ძმების დასამონებლად არ მოვსულვართ აქ, არამედ მათ ქონებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ [illegible] განსათავისუფლებლად, და დეე სცხვენოდეს იმას, ვინც ეჭვი შეიტანა ჩვენზე და [illegible], ვითომც თანავუგრძნობდეთ სვიატოპოლკ-მირსკის ნაქებ მონობას“. ამ განცხადებას ხელი მოაწერა 42 დეპუტატმა, რომელთა შორის ერთი მემარჯვენეა, დანარჩენნი—პროგრესისტი, კადეტი, ოქტომბრისტი, ნაციონალისტი და მუსულმანი.

◆ ვაისბერგის და გერშუნინის გაფიცულ სტამბის პატრონებმა აგენტები გაგზავნეს სხვადასხვა ქალაქში ასოთ-ამწყობთა საშოვნად. მათ რიბინსკში დაიქირავეს 11 მუშა, რომლებიც უკვე წავიდნენ პეტერბურგს.

◆ პეტერბურგის მკერვალთა შორის შესდგა ჯგუფი, რომელსაც განზრახული აქვს კოოპერატიული საზოგადოება დაარსოს.

◆ პალის ქარხნის მუშებს კრება ჰქონდათ და გადაწყვიტეს, რომ რომელსაც მუშასაც ძლიერ უჭირს, შეუძლიან შევიდეს არ გაფიცულ ქარხანაში, ხოლო გაფიცულებს უნდა მისცეს თავის ხელფასის ერთი მეოთხედი. დაადგინეს, რომ გაფიცვა განაგრძონ, სანამ სრულებით არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი.

◆ მთავრობა და მასთან მექარხნე მეფაბრიკეები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ როგორმე შეზღუდონ და შეავიწროვონ მუშათა მოძრაობა. ამ ბოლო დროს განსა-

---

*) იხ. აკაკის ლექსი „ვაჟა-ფშაველას“ „თემში“ № 111, 1913 წ:

კუთრებულ ყურადღებას აქცევენ განხეთქილების ჩამოგდებას მუშებს შორის, რისთვისაც ძლიერ უწყობენ ხელს ეგრედ წოდებულ მუშების შავრაზმელ კავშირების შედგენას.

რუსეთი

სათათბირო და თავად-აზნაურობა.

თავრიდის სასახლეში ფრიად სასენსაციო ხმები გავრცელდა: მოსკოვში თავმოყრილ თავად-აზნაურთა წინამძღოლებს აზრად ჰქონიათ სათათბიროს დათხოვნის შუამდგომლობა აღძრან ვისთანაც ჯერ არს. იმასაც ამბობენ, თავად-აზნაურობას შესაფერი ადრესიც შეუდგენია, მაგრამ ბოლო დროს თავის წადილის განხორციელება გადაუფიქრნია. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ თავად-აზნაურთა შორის ვერ მოსძებნეს ისეთი პირი, ვისაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობისას შეეძლო განზრახვა შეესრულებინა. თავად-აზნაურებს საბოლოოდ არ აუღიათ ხელი თავის მისწრაფებაზე. ისინი ნიადაგს ამზადებენ და, როდესაც შესაფერი დრო დადგება, გაერთიანებული თავად-აზნაურობა ენერგიულ იერიშს მიიტანს სათათბიროზე.

26 მაისის ინცინდენტი სათათბიროს სამსჯავროს წინაშე.

როგორც მოხსენებული გვქონდა, პოლიციის მისვლამ კადეტთა ფრაქციის სადგომში ყველა აალელვა. მღელვარება განსაკუთრებით სათათბიროს კულუარებს ემჩნევა. ყველა დეპუტატი განცვიფრებულია. ეს ამბავი იმდენად იურიდიულის მხრით არ არის საგულისხმო, რამდენადაც პოლიტიკურისა. მილიუკოვი ამბობს: ფრიად გაკვირვებული ვარ, ჯერ ვერ გამომირკვევია, ადგილობრივ ადმინისტრაციის საქმეა ეს, თუ ყველაფერი მინისტრ მაკლაკოვის თანხმობით მოხდაო. ალექსანდროვი იურიდიული თვალსაზრისით პოლიციის ამ საქციელს უკანონოდ სთვლის. ზვეგინცევი შემაძრწუნებელ მოვლენად სთვლის მომხდარ ინციდენტს. ზოგიერთი დეპუტატი პურიშკევიჩ-მარკოვის ყაიდისა კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტს, მაგრამ პირდაპირ ვერა ჰბედავენ პოლიციის საქციელის მოწონებას.

შინგარევი და მილიუკოვი ეახლნენ სათათბიროს თავმჯდომარეს და დაწვრილებით გადასცეს 26 მაისის ამბავი. როძიანკომ დიდის ყურადღებით მოისმინა ამბავი და აღუთქვა კადეტების ლიდერებს საქმის ყოველმხრივი გამორკვევა.

მეტად გარისხებულა ა. გუჩკოვი: „ეს ერთი უმრავლესთაგანი, მაგრამ ყოვლად დიდი და მოულოდნელი უტაქტობაა მთავრობისაო“—ამბობს იგი.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ცნობილი კომპოზიტორი **ნ. სულხანიშვილი** საინტერესო სალიტერატურო-სამუსიკო დილას მართავს. დილა სამის განყოფილებისაგან შესდგება. დილაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ: თვით ნ. სულხანიშვილი თავის გუნდით, **ვაჟა-ფშაველა**, ი. ევდოშვილი, კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, აბაშელი, მ. წულუკიძე და სხვანი.

ქ. გორი. ამ მოკლე ხანში ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი წარმოადგენენ სოფოკლეს ტრაგედიას—**„ედიპე მეფეს“**. წარმოდგენა კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება. სადეკორაციო მასალა თვითონ დასს მიაქვს თან.

სახალხო სახლი. ორშაბათს, 3 ივნისს უკანასკნელი ქართული წარმოდგენაა. სახალხო სახლის ქართულ დრამის სცენის მოყვარეთა მიერ და დამსახურებულ მსახიობ ქალ. ელენე ჩერქეზიშვილის მეუღლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი კომედია **„ხანუმა“**. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ქართულ სახალხო წარმოდგენების წრეები. „სახალხო გაზეთის“ მე-904 №-ში მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ ხარფუხის წრის თავმჯდომარის შათირიშვილისა, სადაც იგი ეხება ფრიად საყურადღებო საგანს. ტფილისის განაპირა უბნებში, უკვე დაარსებულია რამდენიმე წრე, რომელსაც აზრადა აქვს იქ მცხოვრებ ღარიბ ხალხსაც მიაწოდოს გონების საზრდო, რადგან მათ არ ძალუძთ სიშორის და უსახსრობის გამო სხვა დიდ თეატრებში სიარული. უკვე აშენებულ ნაძალადევ-ავლაბრის თეატრების გარდა შენდება ხარფუხ-ვერაზედაც და შესაძლებელია აშენდეს მალე ნავთლუღ-საბურთალოზედაც. ამდენ მრავალ რიცხოვან თეატრებისათვის, წარმოიდგინეთ რამდენი სცენის მოყვარეა საჭირო და რაკი სცენის მოყვარენი ბუნებით არა მრავლდებიან, ამიტომ წრეები იძულებული არიან გამოიყვანონ სცენაზე ვითომ და სცენის მოყვარენი, ან იძულებულნი არიან ისეთი პიესები დასდგან, სადაც მომქმედი პირები ცოტაა (მეტადრე ქალები), რის გამოც რეპერტუარი განაპირა უბნების თეატრებისა ღარიბია, ხალხს ვერ აწვდიან უფრო სასარგებლო პიესებს და ხშირად პიესებს ისე ამახინჯებენ, რომ ხალხს არამც თუ იზიდავენ, არამედ აფრთხობენ და წარმოდგენებზე სიარულის ხალისს უკარგავენ.

ყველა ზემომოყვანილი ნაკლი რომ ავიცდინოთ თავიდან, საჭიროა აქ წრეებს მიაქციოს ყურადღება ტფილისის ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ და მიიწვიოს ტფილისის ყველა წრის წარმომადგენელი, რომელთაც უნდა შეიმუშაონ საჭირო გეგმა—შეთანხმება წარმოდგენების უკეთესად მოსაწყობად.

იასონ ფანიაშვილი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

1 ივნისი.

უცხოეთი

ბერლინი. ცენტრელების ორგანო „გერმანია“ ამბობს, რუსეთი დიდი მადლობის ღირსია, კარგად იქცეოდა ბალკანეთის საკითხშიო. რუსეთის მინისტრის საზონოვის დამსახურება არის, თუ საქმე ძლიერ ჩქარა მოგვარდება და ბალკანეთის საკითხიც გადასწყდებაო.

ლონდონი. ყველა გაზეთი კმაყოფილია რუსეთის ხელმწიფის მიერ გაგზავნილ დეპეშისა, ბალკანეთის საქმეს ძალიან ასარგებლებსო.

ბელგრადი. ოფიციოზი „სამოუპრავა“ სწერს: მთელი სერბია შეთანხმებულია იმ საკითხზე, რომ ომით აღებული მიწები ისე განაწილდეს, როგორც მთავრობამ განმარტა ბალკანეთის ყურადსაღებად. ამ დებულების დაცვა ყოველი სერბიელის წმიდა მოვალეობაა. ეხლავე უნდა მივცეთ წინადადება ბულგარეთს ჯარი ოთხჯერ იმაზე ნაკლები იყოლიოს, რამდენიც ეხლა ჰყავს. ამ გზით მოგვშორდება შიში იმ საკითხების კეთილად გადაწყვეტისა, რომელნიც ეხლა გვაწუხებენ. ამ წინადადების ბულგარეთისათვის შესატყობინებლად უკვე გაემგზავრა სოფიაში სპალაიკოვიჩიო.

ბელგრადი. უცხოეთის პრესის ცნობა, ვითომ მეფის მემკვიდრის მოკვლა განეზრახოს ვისმე—ტყუილია.

სოფია. სპალაიკოვიჩი უკვე დაბრუნდა. დემოკრატების ბელადმა მალინოვმა სთქვა, სამინისტროში ვერ შევალ, რადგან ისეთ პარტიის ხალხია შიგა, რომელიც ახლანდელ მთავრობის დედაბოძია, სხვაფრივ კი დავეხმარები მთავრობასაო.

ბუქარესტი. „უნივერსალი“ სწერს, რუმინია მშვიდობიანობას ხელს შეუწყობს, მაგრამ თუ მოხდა რამე და ზარბაზანმა დაიქუხა, მაშინვე ჯარის შეგროვებას დაიწყებს, ნებას არავის მისცემს სერბიას ავნოს რაიმეო.

სტამბოლი. დღეს მაჰმუდ-შევკეთი დაასაფლავეს დიდი ვეზირი თავისუფლების გორაკზე დაასაფლავეს. ხონთქრის წარმომადგენლად დასაფლავებას დაესწრო ხონთქრის ორი შვილი. თითქმის 150 კაცი დააპატიმრეს, სხვათა შორის გაზეთ „ალემდარის“ გამომცემელი, სამსახურს გარეშე მდგარი გენერლები და სხვანი. ამბობენ, მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა ვილაც ნაზიმისა და ზიაფერტეფის მოკლულია, რომელნიც სადღაც მიმალულანო. მოკვლის მოთავეა აბდულ-ჰამიდის ყოფილი ელჩი სტოკჰოლმისა, რომელიც ამ ჟამად პარიზში სცხოვრებსო.

ლონდონი. „ვესტ. მინსტერ. გაზეთი“ ამბობს, ვიდრე სარევოლუციო და რევოლუციის საწინააღმდეგო მოძრაობა არ გათავებულა, ოსმალეთის საქმე და მომავალი უიმედოაო.

სტამბოლი. მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა რომ მოუკლავთ, ხუთი მისი მკვლელი ავტომობილით გაქცეულა. ეს ავტომობილი ახლა ქალაქს ახლო უნახავთ. ამ მოკლე ხანს მთავრობამ 65 საეჭვო კაცი დააპატიმრა. ხალხის შიშით „ერთობა და პროგრესის“ და უნიონისტების ბინებს ჯარი იცავს.

სოფია. კაბინეტს შეადგენენ ორი პარტიის ხალხი, ისინი, ვინც ეხლა მთავრობის სათავეში დგანან. მინისტრ-პრეზიდენტად იქნება დანევი, სხვა ძველი მანისტრებიც თავიანთ ადგილებს შეინარჩუნებენ, გარდა ორისა.

ბუდაპეშტი, დეპუტატთა პალატამ პრეზიდენტად ერთხმად აირჩია. ბოეტი. ოპოზიცია ამ სხდომას სულ არ დასწრებია.

ლონდონი. „ვესტ. მინსტერ.-გაზეთი“ შემდეგსა სწერს: სლავიანთა ერების მოთავის სიტყვებს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის აზრს ემხრობა ყველა სახელმწიფო, ავსტრიაც კი. ტყუილად ჰგონიათ ბალკანეთის მოკავშირეებს, თითქოს ეს საქმე მხოლოდ მათ შეეხებოდეთ.

თეთუანი. ბუსფის ახლო ბედუინებთან ესპანიელებს შეტაკება მოუვიდათ. ესპანიელებს 20 ჯარის კაცი მოუკლეს, 6 აფიცერი და 45 ჯარის კაცი კი დაუჭრეს. ბედუინები ძლიერ დაზარალებულან.

ბეირუტი. ქალაქში რამდენიმე მკვლელობა მოხდა, რის გამო დიდი მღელვარებაა. ხალხი ქალაქიდან გარბის.

ლონდონი. ენდრუს-ქელეში უნიონისტებმა მიტინგი გამართეს და ძლიერის ყიჟინით შეეგებნენ ლორდ კარსონის მოწოდებას, იარაღით ხელში წავიდეთ და წინააღმდეგობა გაუწიოთ ირლანდიის ავტონომიის განხორციელებასაო.

რუსეთის ხელმწიფის დეპეშამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა დარწმუნებულია, ახლა კი ბალკანეთში მშვიდობა ჩამოვარდებაო.

ვენა. დეპუტატთა პალატა შეუდგა დროებით ბიუჯეტის განხილვას.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში სამხედრო კანონპროექტის განხილვას განაგრძობენ. ზოგიერთმა სთქვა, ომი რომ გამოუცხადოთ ვისმე, რუსეთი დროზე ვერც კი მოგვეშველება, რკინის გზები არა აქვსო. გენერალმა პუდუამ განაცხადა, მაგ აზრის თანამოზიარენი სამარეს უთხრიან რუსეთ-საფრანგეთის კავშირსაო. ლეფევრმაც უპასუხა ექვის მქონეთ და განაცხადა, რუსეთს საკმაო გზები აქვსო.

ბუდაპეშტი. სამართლის მინისტრმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება მეფის შეურაცყოფას. კანონ-პროექტის შემუშავება გამოიწვია რესპუბლიკელთა ქადაგების შიშმა.

ბელგრადი. პაშიჩმა განაცხადა, მთავრობა სავსებით იმას აასრულებს, რაიც სკუპჩინამ დაადგინოს. ჯე არავინ იცის, ჩარეულან თუ არა ს ხელმწიფოები ჩვენს საქმეში, საფ ქრებელი კია, რომ ჩაერევიანო დ საქმეს მოაგვარებენო.

ვენა. გაზეთები აღნიშნავენ, რუსეთმა საქმეში ჩარევით თავისი მდგომარეობა ევროპასა და აღმოსავლეთის მხარეში გააძლიერაო.

პოლონელთა კოლომ დეპუტატთ პალატაში შეკითხვა შეიტანა, რ ფიქრობთ, ხომ შეიძლება ბალკან თის მოკავშირეები რუსეთის ხელ ავსტრია-ჰუნგრეთის საწინააღმდეგ იარაღად გადაიქცნენო. ამიტომ საჭ რო არის ოსმალეთს დავეხმაროთ დ სრული დაცემა თავს ავაცილოთო.

ბერლინი. რეიხსტაგმა მიიღო სა ხედრო ძალთა გაძლიერების კანო პროექტი.

ვენა. ქრისტიან სოციალისტ გაზეთი „ავსტრია“ აღნიშნავს ხელმწიფე იმპერატორის დეპეშის დი მნიშვნელობას და დასძენს: პანსლავიზმი პირველად იქნა აღიარებულ პოლიტიკურ პრინციპადო. გაზე აქ ვერ ჰხედავს სამთა კავშირის დ პლომატიის გამარჯვებას.

რუსეთი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭ საკანონმდებლო დაწესებულებებშ წარსადგენად მოიწონა საპოლიცი რეფორმის პროექტი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მინც გაციებულია და ჰსურს ფილტვების დასნეულება თავიდან აიცილოს, უნდა მიიღოს ხოლმე.
სიროლინ „როშ“.

ისყიდება აფთიაქებსა და ყველა სააფთიაქო მაღაზიაში.

მოიკითხეთ უსათუო სიროლინ „როშ“ თავისებურ ქარხნის გასახვევით

8. 66839 1629

თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.** მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება: „SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.** **აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 2?238. 1038

პარიზის სულმთელად ◆ ახალი ფასონები
კორსეტების
ვენის საკორსეტო [illegible] ხელოსანი
მ. ა. ლევინი
ტფილისი, [illegible] და სოლოლაკის ქ. კუთხე.
1168.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომლო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.
ვერა, იზმაილოვის მისახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კან სა, სიფილისი, ვენ.რ., საშ. და ქირურგ
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ლ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირ. ქალ. მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ჩემ კლიენტების
საყურადღებოდ
ვაცხადებ, რომ მათთვის უფრო მოსახერხებლად ქალაქის შუაგულ ადგილს ავიღე სადგომები **განცხადებების მისაღებად,** როგორც ადგილობრივ, ისე ქალაქ გარეთის გაზეთებისა და ჟურნალებისათვის ფასის წვრილ-წვრილად გადახდით. ზოგიერთ გაზეთებიდან განსაკუთრებითი უფლება მაქვს განცხადებათა მიღებისა; იქვე მიიღება საწერ მანქანაზე გადაწერა ყოველგვარ საქმიან ქაღალდებისა.
ადრესი: ტფილისი, 1) ერევნის მოედანი, პუშკინისა და სომხების ბაზრის კუთხე, დამზღვევი საზ. „ვოლგა“. 2) სასტუმრ. „ვეტცელი“, მიხ. პროსპ., **ტელ. № 380.** 3) ვაკე, ქართულ გიმნაზ. პირდაპირ, საკუთ. სახლ., **ტელეფ. № 925.**
აგენტი მ. ა. გაყონია.
1541

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

ილია ჭავჭავაძე:

კაცია ადამიანი?	20 კ.
გლახის ნაამბობი	20—
ოთარაანთ ქვრივი	18—
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3—
სახრჩობელაზე	5—
მგზავრის წერილები	7—
გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები	7—
უცნაური ამბავი	4—
რჩეული ლექსები	7—
განდეგილი	5—
კაკო ყაჩაღი	5—
დედა და შვილი	3—
დიმიტრი თავდადებული	7—
აი ისტორია	35 კ.
ცხოვრება და კანონი	25—
კრიტიკული წერილები	25—
პოლემიკური წერილები	10—

ახლად მიღებული წიგნები:

შიო მღვიმის სამი სიგელი სარ. კაკაბაძისა	40 კ.
ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი	30—
სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ. შიო მღვ. დაწერ.	15—
მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—1448 წ. გიორგი IX ს მიერ ბოძებული	10—

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

СТОЛОВОЕ ВИНО
Юбилейное
300
т/д. БР. СЕСІЕВЫ и К°
ВЪ ТИФЛИСЪ

1078

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ცინკოგრაფია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ბანკის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Банк. ул. № 12
1090

მიტროფანე ლაღიძის და ამხ
ფრიად სასიამოვნო
ლობისათვის მარგე-
სი და სურნელების
სამკურნალო
სასმელი და ჯანმრთე-
ბული სააშური გემო-
ხილეული
და მინერალური
წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურ განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდ** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებ უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლ ზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერ**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.

სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუღალტერო კურსები
საზაფხულო მეცადინეობით
ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.
მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.
პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდ საღამოს 5 საათამდე).
მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე). 2

◆ გამოსულია და იყიდება ◆
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
იშხანი,
მტკვრისა თართი, ზ
თხი, ლოქო, და სხვ
ახალი მსხვილ-მარცვლოვან
ხიზილალა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება
ლაზიაში მარტის დოში, იანი,
პა, ზურგიელები, სხვა ყოველ-
რი თევზეულობა
კონსერვები.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.